ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6257109

ნომერი: AR1938797

თარიღი : 08.12.2022

გაცემის თარიღი : 20.12.2022

გაცნობის თარიღი : 20.12.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 26/დავით წერედიანის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ხოსრუაშვილი პ/ნ 01009011823
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 12 ბ. 58

ორგანიზაცია:
- იმა აქსისი პალასი 2 კოდი: 205090391

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 08 დეკემბრის №AR1938797 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2021 წლის 30 ივნისის №5481258 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის № 6251938 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.

დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული. კერძოდ, საცხოვრებელ და საოფისე ფართობებში კვლავ შეყვანილია კოლონების და სავენტილაციო შახტების ფართობები. განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დააზუსტოს მოთხოვნა საცხოვრებელ, საოფისე და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2021 წლის 30 ივნისის №5481258 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური გეგმები (გეგმარების შეცვლის გარეშე), შესწორებული ფართობების დატანით.

ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 15 დეკემბრის №6251938 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 15 დეკემბერს და განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2022 წლის 16 დეკემბერს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 08 დეკემბრის №AR1938797 განცხადება დარჩება განუხილველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.